შ.პ.ს სერვისეირი
ServiseAir Ltd

საქართველო, მცხეთა, ნატახტარი. ტელ: +995 322 428 428; მობ: +995 599 45 25 25; Natakhtari, Mtskheta, Georgia. Tel: +995 322 428 428; Mob: +995 59945 25 25; E-mail: admin@serviceair.ge

№ 77/02-21

„27" აპრილი 2021 წ.

წარმოგიდგენთ შპს „სერვისეირი–ServiseAir (საიდენტიფიკაციო ნომერი 204439376)" 2020 წლის ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

დირექტორი ა. მანჯავიძე

შპს „სერვისეაირი -ServiceAir“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

შინაარსი:

ფინანსური ინფორმაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

მოგება-ზარალის ანგარიშგება

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

ფულადი სახსრების მოძრაობა

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია

ძირითადი საღრიცხვო პოლიტიკა 1

შპს „სერვისეაირი -ServiceAir"-ის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობითფინანსური მდგომარეობა (ლარი)

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2020	31/12/2019	31/12/2018
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	71380	14367	25395
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3413335	3357561	3426197
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	0	242423	63467
მარაგები	303881	462771	361892
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	0	0
ბიოლოგიური აქტივები	54702	54702	54702
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	1462	1462	1462
ძირითადი საშუალებები	3774641	3974980	4314615
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	7619401	8108266	8247730
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	576657	650343	815364
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	73329	24567	23360
საგადასახადო ვალდებულებები	0	0	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	770	770
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	1922644	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	1360386	4694952	4640792
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	2003820	0	0
სულ ვალდებულებები	5936836	5370632	5480286
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	917521	315613	315613
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	765044	2205494	2451831
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	216527	0
სულ საკუთარი კაპიტალი	1682565	2737634	2767444
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	7619401	8108266	8247730

შპს „სერვისეაირი -ServiceAir"-ის დირექტორი ამირან მანჯავიძე

საქმიანობის შედეგები (ლარი)

საქმიანობის შედეგები	**31/12/2020**	**31/12/2019**
ნეტო ამონაგები	723335	886037
საქონლის გაყიდვიდან	0	0
მომსახურების გაწევიდან	723335	886037
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-1004102	0
საწყისი მარაგები	0	361892
მარაგების შესყიდვა	0	183587
საერთო მოგება	-280767	886037
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	0	-157320
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-398970	-474676
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	-186771	-197569
იჯარის ხარჯი	-3250	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-571685	-302809
სულ საოპერაციო ხარჯები	-1160676	-1132374
საოპერაციო მოგება	-1441443	-246337
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	0
მობება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-1441443	-246337
მობების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-1441443	-246337
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-1441443	-246337
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	2737634	2767444
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	385380	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	994	216527
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1682565	2737634

შპს „სერვისეაირი -ServiceAir"-ის დირექტორი
ამირან მაწყავიძე

შპს „სერვისეაირი -ServiceAir"-ის

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფულადი სახსრების მოძრაობა (ლარი)

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2020	31/12/2019
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	365856	-384645
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	104903
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	268714
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	365856	-11028
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-308843	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	14367	25395
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	71380	14367

შპს „სერვისეაირი -ServiceAir"-ის დირექტორი
ამირან მანჯავიძე

შპს „სერვისეაირი -ServiceAir"-ის

2020 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. **ზოგადი ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ:**

სახელმწიფო რეგისტრაცია:

სახელმწიფო რეგისტრაცია

შ.პ.ს. "სერვისეირი-ServiceAir"-ს სახელმწიფო რეგისტრაცია გავლილი აქვს 2ი2 წლის 25 სექტემბერს ქ. თბილისის მთაწმინდა კრწანისის რაიონულ სასამართლოში სარეგისტრაციო ნომრით ი6/4-1107და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი 2ი4439376;

კომპანიაში 2ი18 წლის 12 დეკემბერს მოხდა დამფუძნებლების ცვლილება.

საზოგადოების დამფუძნებლები არიან:

1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სერვისეარჰოლდინგი (სნ43ნი4ი883) -100%

იურიდიული მისამართია: საქართველო, მცხეთის რაიონი, სოფელი ნატახტარი (აეროდრომი).

ორგანიზაციის დირექტორია: ამირან მანჯავიძე პირადი ნომერი ი1ი07001797.

ორგანიზაციის საქმიანობის სახეა: საავიაციო საქმიანობა, მათ შორის მგზავრების და ტვირთების საჰაერო ავიაგადაყვანა-გადაზიდვა, სააეროპორტო და სააეროდრომო მომსახურება, საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება, საჰაერო ხომალდების ექსპლუატაცია, სპეციალური საავიაციო სამუშაოს შესრულება, მგზავრების და ტვირთების საავიაციო გადაყვანა-გადაზიდვებთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა საქმიანობა.

2. **ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა:**

2.1 ფინანსური ანგარიშგების შედგენის და წარდგენის საფუძვლები

შ.პ.ს. "სერვისეირი-ServiceAir"-ს ფინანსური ანგარიშბების მომზადებისას გამოყენებულია ფინანსური ანბარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსფასს);ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე , რომ საწარმო ფუნქციონირებს და თავის საქმიანობას უახლოეს საპროგნოზო მომავლშიც გააგრძელებს, არ აპირებს და არ საჭიროებს ლიკვიდაციას.

2.2 საანგარიშგებო ვალუტა

ფინასური ანგარიშგება მომზადებულია ეროვნულ ვალუტაში-ლარში, რომელიც წარმოადგენს საანგარიშგებო ვალუტას. უცხოური ვალუტა აღიარებულია ოპერაციის განხორცილების თარიღით არსებული ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსით. საკურსო სხვაობები აღიარებულია სხვა შემოსავლში ან სხვა ხარჯში.

2.3 ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში და საბანკო ანგარიშებზე.

2.4 ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

2.5 სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდ-ით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

2.6 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადი

მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წლის გატანილ მობებას.

2.7 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდები წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები	5 პროცენტი
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა	15-30 პროცენტი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად

2.8 არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც ხუთ წელს შეადგენს. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიც-ვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

2.9 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქვტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მობებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგე-ნა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში _ პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებ-ში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში

2.9 იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯა-რის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფი-ნანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალ-დებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთისმიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მობებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

2.10 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი ფასით აღრიცხვის მეთოდით.

2.11 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მობებაში ან ზარალში.

2.12 სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

2.13 ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

2.14 პირობითი ვალდებულებები

იურიდიული საკითხები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას გააჩნია ორი არსებითი სასამართლო დავა. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარბის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

2.15 გადასახადები

კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. სასაგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში. საქართველოს საბადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები.

2.16 დაკავშირებული მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებული მხარეები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან ბასს 24 „დაკავშირებული მხარეთა განმარტებითი შენიშვნების" მიხედვით, არის, როდესაც:

ა) მხარე პირდაპირ, ან ერთი ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით, არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ, ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;

ბ) მხარე არის საწარმოს, ან მისი სათავო საწარმოს, უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;

გ) მხარე არის (ა) და (ბ) პუნქტებით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;

დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (დ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას, ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პიროვნებები.

დაკავშირებულ მხარეებთან თითოეული შესაძლო კავშირის განხილვისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს ოპერაციის ეკონომიკურ შინაარსზე, და არა მის სამართლებრივ მხარეზე. კომპანიისა და მისი დაკავშირებული მხარეების არსებითი ურთიერთობის დეტალები მოცემულია ქვემოთ.

2.17 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მომხდარი მოვლენები

კომპანიის მენეჯმენტი აცხადებს, რომ კომპანიაში არ მომხდარა ისეთი მოვლენა 2020 წლის 31 დეკემბრის შემდეგ, რომელიც იქონიებს მნიშვნელობას წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. **ფინანსური ანგარიშის დამტკიცება**

კომპანიას ფინანსური ანგარიში დამტკიცებული აქვს და ნებადართულია გამოსაქვეყნებლად 2021 წლის 21 სექტემბერს..

2.3 ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2021 წლის 31 დეკემბრის და 1-ლი იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად

	31.დეკ.20	1-ლი იანვარი 2020
ფული სალაროში	55,203	606
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე, ლარში		
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე, უცხოურ ვალუტაში	16,177	13,761
	71,380	14,367

2.11 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2021 წლის 31 დეკემბრის და 1-ლი იანვრის მდგომარეობით წარმოდბენილია შემდეგნაირად

	31.დეკ.20	1-ლი იანვარი 2020
ფინანსური მოთხოვნები:		
სავაჭრო მოთხოვნები	3,413,335	3,426,197
არაფინანსური მოთხოვნები		
გადახდილი ავანსები		
ჯამი	3,413,335	3,426,197

2.5 სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

მიღებული სესხები 2021 წლის 31 დეკემბრის და 1-ლი იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.დეკ.20	1-ლი იანვარი 2020
სესხის გამცემი:		
მოკლევადიანი სესხები	1,818,886	
გრძელვადიანი სესხები	1,360,386	4,694,952
სესხებზე დარიცხული პროცენტები	103,758	
	3,283,030	4,694,952

2.10 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

მარაგები 2021 წლის 31 დეკემბრის და 1-ლი იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად

	31.დეკ.20	1-ლი იანვარი 2020
საქონელი		
საქონელი და მასალები	303,881	462,771
მზა პროდუქცია		
სარემონტო მასალები		
სხვა მარაგები		
	303,881	462,771

2.7 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2020 წლის 31 დეკემბრისთვის და 1-ლი იანვრისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მიწა და შენობა	მანქანა - დანადგარები	საოფისე აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
ნაშთი 01.01.2020	2,405,276		206,423	2,893,504	334,026	5,839,229
შემოსვლა	129,874			57,317	11,440	198,630
გასვლა						
ნაშთი 31.12.2020	2,535,149	-	206,423	2,950,821	345,466	6,037,859
დაგროვილი ცვეთა						
დაგროვილი ცვეთა 01.01.2020	(466,002)		(35,438)	(1,277,497)	(30,608)	(1,809,546)
ცვეთა წლის განმავლობაში	(83,370)		(11,453)	(299,873)	(4,274)	(398,970)
დაგროვილი ცვეთა 31.12.2020	(549,373)	-	(46,890)	(1,577,370)	(34,883)	(2,208,516)
ნეტო საბალანსო ღირებულება						
ნეტო საბალანსო ღირებულება 01.01.2020	1,939,273	-	170,986	1,616,007		4,029,683
ნეტო საბალანსო ღირებულება 31.12.2020	1,985,776	-	159,533	1,373,451	310,583	3,829,343

2.12 სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2020 წლის 31 დეკემბრის და 1-ლი იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.დეკ.20	1-ელი იანვარი 2020
ფინანსური ვალდებულებები:		
სავაჭრო ვალდებულებები	508,397	650,343
სახელფასო ვალდებულებები	73,329	24,567
გამოუმუშავებელი შემოსავალი		770
არაფინანსური ვალდებულებები		
გადასახდელი გადასახადები	68,259	-9640
გადასახდელი დივიდენდები		
სულ სავაჭრო ვალდებულებები	**649,986**	**666,040**

2.4 ამონაგები

2020 წლის შემოსავალი შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2020
შემოსავალი მზა პროდუქციიდან	
შემოსავალი	723,335
საპროცენტო შემოსავალი	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	-
სულ შემოსავალი	**723,335**

ხარჯი

2020 წლის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები წარმოდგენილა შემდეგნაირად:

თვითღირებულება	**2020**
გაყიდული მომსახურების თვითღირებულება	257,831
პირდაპირი ხელფასი	746,271
სულ თვითღირებულება	1,004,102

	2020
ოჯარის ხარჯები	3,250
ცვეთა და ამორტიზაცია	398,970
საპროცენტო ხარჯი	186,771
საწვავის ხარჯი	
მივლინებისა და წარმომადგენლობითი ხარჯები	6,744
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	-
სამერნეო ჯარიმები და პირგასამტეხლოები	8,265
ძირითადი საშუალების რემონტის ხარჯი	30,972
შეკეთების ხარჯები	103,884
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	112,975
სულ ხარჯი	**851,831**